საქართველოს მთავრობის

დადგენილება №294

2025 წლის 24 ივლისი

ქ. თბილისი

„ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემმუშავებელი და შესრულების მონიტორინგის განმახორციელებელი უწყებათაშორისი მუდმივმოქმედი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №469 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, „ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემმუშავებელი და შესრულების მონიტორინგის განმახორციელებელი უწყებათაშორისი მუდმივმოქმედი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №469 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 18/09/2018, 010220020.10.003.020785) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლის:

1. „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) **საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი** – კომისიის თავმჯდომარე;“.

2. „თ“ და „თ^{1}“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) **საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი** – კომისიის წევრი;

თ^{1}) **საქართველოს კულტურის მინისტრი** – კომისიის წევრი;“.

3. „თ^{1}“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ^{2}“ ქვეპუნქტი:

„თ^{2}) **საქართველოს სპორტის მინისტრი** – კომისიის წევრი;“.

4. „ნ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ნ) **საქართველოს რეგიონული განვითარების მინისტრი** – კომისიის წევრი;“.

5. „ნ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ნ^{1}“ ქვეპუნქტი:

„ნ^{1}) **საქართველოს ინფრასტრუქტურის მინისტრი** – კომისიის წევრი;“.

6. „პ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

7. „ფ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ქ“ ქვეპუნქტი:

„ქ) **საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – დაზვერვის სააგენტოს უფროსი** – კომისიის წევრი.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2025 წლის 1 აგვისტოდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**